ქართული ინტერნეტინდუსტრია მეკობრული ინტერნეტსაიტების წინააღმდეგ

ქართული მედია, კომერციული და საინფორმაციო ინტერნეტპორტალები შეშფოთებას გამოთქვამენ ქართულ ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ინტერნეტმეკობრეობის მაღალი მაჩვენებლის გამო. მათი აზრით, ინტერნეტმეკობრება ხელს უშლის ინტერნეტ ინდუსტრიის განვითარებას საქართველოში.

იმ პირობებში, როდესაც ქართული ლეგალური ინტერნეტსაიტების შემოსავლის უდიდეს წყაროს სარეკლამო შემოსავლები წარმოადგენს, რამდენიმე ქართული ვებსაიტი სრულიად უკანონოდ, არალიცენზირებული კონტენტის მეშვეობით ითვისებს ინტერნეტ სარეკლამო შემოსავლების უდიდეს ნაწილს.

მსგავსი არალეგალური ვებსაიტები სარეკლამო სივრცის გაყიდვას ახერხებენ ათასობით არალეგალური კონტენტის განთავსებით მოზიდული ვიზიტორიბს ხარჯზე. მნიშვნელოვნად ზარალდებიან ლეგალური საიტები, რომლებიც ქმნინან ორიგინალ კონტენტს ან ლეგალურად ყიდულობენ, იქნება ეს ტექსტუალური, აუდიო თუ ვიდეო მასალა.

შესაბამისად, ქართულ ინტერნეტ სივრცეში არის შექმნილი არაკონკურენტუნარიანი და არაჯანსაღი გარემო, რაც ამ ინდუსტრიას ნაკლებად მიმზიდველს ხდის, როგორც ადგილობრივი, ისევე უცხოელი ინვესტორებისთვის. აღსანიშნავია რომ ინტერნეტ მეკობრეობის და არაჯანსაღი მდგომარეობის გამო, ფერხდება სხვადასხვა საერთაშორისო მსხვილი ინტერნეტ მოთამაშეების დაინტერესება საქართველოს მიმართ, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო გააჯანსაღებს და სტიმულს მისცემს ადგილობრივ ბაზარს გუგლის სარეკლამო ქსელის გააქტიურება საქართველოში და ქართულ საიტებთან თანამშრომლობა.

საქართველოში ინვესტორებს აქვთ ინტერესი ქართული ლეგალური სტრიმინგ საიტების მიმართულებით, მაგრამ ამ პირობებში წარმოუდენელია აღნიშნულ საკითხზე მუშაობის დაწყება, არსებული ინტერნეტმეკობრეობის მასშტაბიდან გამომდინარე.

ქართული ინტერნეტსაიტები უერთდებიან ინტერნეტ საქართველოს ანტიმეკობრულ ცენტრს და მოითხოვენ სიტუაციის გაჯანსაღებისკენ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას. ქართული ინტერნეტსაიტები ასევე მოუწოდებენ რეკლამის დამკვეთ კომპანიებს, არ განათავსონ რეკლამა არალეგალურ საიტებზე და ამით ხელი შეუწყონ ინტერნეტის ინდუსტრიის განვითარებასა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას ინტერნეტსივრცეში.